

**„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებით დამტკიცებული „დროებითი შემოტანის პროცედურის შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №11) მე- 4 მუხლი**

**მუხლი 4. იმპორტის გადასახდელისაგან სრულად გათავისუფლებული საქონელი**

1. დროებით შემოტანის პროცედურაში იმპორტის გადასახდელისაგან სრულად გათავისუფლებით, შესაძლებელია მოექცეს ქვემოთ ჩამოთვლილი შემდეგი უცხოური საქონელი:

**ა) გამოფენებზე, ჩვენებებზე, შეხვედრებზე ან მსგავს ღონისძიებებზე გამოსაყენებელი საქონელი:**

ა.ა) გამოფენაზე ან სხვა ღონისძიებაზე წარსადგენად გამიზნული საქონელი, მათ შორის ის მასალები, რომლებიც მოხსენიებულია „საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული მასალების შემოტანის შესახებ“ ნიუ-იორკის (იუნესკოს) 1950 წლის 22 ნოემბრის შეთანხმების დანართებსა და ნაირობის 1976 წლის 26 ნოემბრის შეთანხმების ოქმში;

ა.ბ) საქონელი, რომელიც გამიზნულია ღონისძიებაზე უცხოური პროდუქციის დემონსტრირებისათვის, მათ შორის:

ა.ბ.ა) საქონელი რომელიც საჭიროა უცხოური მანქანა-დანადგარების და აპარატურის დემონსტრირებისათვის;

ა.ბ.ბ) სამშენებლო-დეკორაციული მოწყობილობები, რომელიც მოიცავს ელექტროდანადგარებს უცხოური გამოსაფენი საქონლის დროებითი სტენდებისათვის;

ა.ბ.გ) სარეკლამო-საჩვენებელი მოწყობილობა, ჩვენებაზე გამოტანილი უცხოური საქონლის რეკლამირების მიზნით, მაგალითად, აუდიო-ვიდეო ჩანაწერები, ფილმები და დიაპოზიტივები, აგრეთვე მათი გამოყენებისათვის საჭირო აპარატურა;

ა.გ) ხელსაწყო დანადგარები სინქრონული თარგმანის განხორციელებისათვის, ხმის და გამოსახულების ჩაწერისთვის, აგრეთვე საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული ხასიათის ფილმები, რომლებიც გამოიყენება საერთაშორისო შეხვედრებსა და კონფერენციებზე;

**შენიშვნა:**

1. ამ ქვეკუნქტის მიზნებისათვის ტერმინს „ღონისძიება“ აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სავაჭრო, სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო ან ხალხური რეწვის ნიმუშების, გამოფენა-ჩვენება ან მსგავსი ღონისძიება;

ბ) გამოფენა ან ღონისძიება, რომლის ორგანიზების ძირითადი მიზანია ქველმოქმედება;

გ) გამოფენა ან ღონისძიება, რომლის ორგანიზების ძირითადი მიზანია განათლების, ხელოვნების, სპორტის, სამეცნიერო და კულტურული საქმიანობის, რელიგიური ცოდნის, ტურიზმის ან ხალხთა შორის მეგობრობის განვითარებისთვის ხელშეწყობა;

დ) საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა შეხვედრა; ან

ე) ოფიციალური ან სამახსოვრო ხასიათის წარმომადგენლობითი შეხვედრა; გარდა

ღონისძიებისა, რომელიც ორგანიზებულია კერძო მიზნებიდან გამომდინარე, მაღაზიებსა და სხვა სავაჭრო ადგილებში უცხოური საქონლის რეალიზაციის მიზნით.

2. ამ ქვეპუნქტის შესაბამისად შემოტანილი საქონლის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გონივრულ ზღვარს მოცემული საქონლის დანიშნულებიდან გამომდინარე.

3. დაუშვებელია ამ ქვეპუნქტის შესაბამისად შემოტანილი საქონლის:

ა) გასესხება, გაქირავება ან გაჩუქება ნებისმიერი სახით;

ბ) ღონისძიების ადგილიდან გატანა.

### **ბ) პროფესიული მოწყობილობები:**

ბ.ა) პრესისათვის განკუთვნილი მოწყობილობა:

ბ.ა.ა) პერსონალური კომპიუტერები;

ბ.ა.ბ) ფაქსიმილური აპარატი;

ბ.ა.გ) საბეჭდი მანქანები;

ბ.ა.დ) ყველა ტიპის ფოტოაპარატი (ფირიანი და ელექტრონული);

ბ.ა.ე) ხმის ან გამოსახულების გადამცემი, ჩამწერი ან აღმწარმოებელი აპარატურა (მაგნიტოფონი, ვიდეომაგნიტოფონი, ფლეიერი, მიკროფონი, მიქშერული პულტი, აკუსტიკური სისტემები);

ბ.ა.ვ) ხმის ან გამოსახულების მატარებლები, ცარიელი ან ჩაწერილი;

ბ.ა.ზ) საკონტროლო-გამზომი ხელსაწყოები და აპარატურა (ოსცილოგრაფი, მაგნიტოფონების და ვიდეომაგნიტოფონების ტესტირების სისტემა, მულტიმეტრი, ხელსაწყოების ყუთები და ჩანთები, ვექტოროსკოპი, ვიდეო სიგნალის გენერატორი და სხვა.);

ბ.ა.თ) გამნათებელი მოწყობილობა (პროექტორი, ტრანსფორმატორი, სამფეხა);

ბ.ა.ი) დამხმარე მოწყობილობა და აქსესუარები (კასეტა, ფოტომეტრი, ობიექტივი, სამფეხა, აკუმულატორი, ამძრავი ღვედი, ბატარეის დასატენი მოწყობილობა, მონიტორი);

ბ.ბ) რადიომაუწყებლობისათვის განკუთვნილი მოწყობილობა:

ბ.ბ.ა) კავშირგაბმულობის მოწყობილობა (რადიო გადამცემ-მიმღებები ან გადამცემები; ტერმინალები, ქსელთან ან კაბელთან მისაერთებელი; კავშირგაბმულობის თანამგზავრული ხაზები);

ბ.ბ.ბ) მოწყობილობა ბგერითი სიხშირის გენერირებისათვის (ხმის ჩამწერი ან აღმწარმოებელი აპარატურა);

ბ.ბ.გ) საკონტროლო-გამზომი ხელსაწყოები და აპარატურა (ოსცილოგრაფი, მაგნიტოფონისა და ვიდეომაგნიტოფონის ტესტირების სისტემა, მულტიმეტრი, ხელსაწყოების ყუთები და ჩანთები, ვექტოროსკოპი, ვიდეოსიგნალების გენერატორი და სხვა.);

ბ.ბ.დ) დამხმარე მოწყობილობა და აქსესუარები (საათი, ქრონომეტრი, კომპასი, მიკროფონი, მიქშერული პულტი, ხმის ჩამწერი მაგნიტური ლენტი, ელექტროაგრეგატი, ტრანსფორმატორი, ბატარეა და აკუმულატორი, ბატარეის დამმუხტველი მოწყობილობა, გათბობის, ჰაერის გამათბობელი, კონდიციონერებისა და ვენტილაციის აპარატურა, და სხვ.);

ბ.ბ.ე) ხმის ჩანაწერის მატარებელი, ცარიელი ან ჩაწერილი;

ბ.გ) სატელევიზიო მაუწყებლობისათვის განკუთვნილი მოწყობილობა:

- ბ.გ.ა) ტელეკამერა;
- ბ.გ.ბ) ტელეკინოპროექტორი;
- ბ.გ.გ) საკონტროლო-გამზომი აპარატურა და მოწყობილობა;
- ბ.გ.დ) გადამცემი და ტრანსლიაციის აპარატურა;
- ბ.გ.ე) კავშირგაბმულობის აპარატურა;
- ბ.გ.ვ) ხმის ან გამოსახულების ჩამწერი ან აღმწარმოებელი აპარატურა (მაგნიტოფონი, ვიდეომაგნიტოფონი, ფლეიერი, მიკროფონი, მიქშერული პულტი, აკუსტიკური სისტემები);
- ბ.გ.ზ) გამნათებელი მოწყობილობა (პროექტორი, ტრანსფორმატორი, სამფეხა);
- ბ.გ.თ) აპარატურა ვიდეომონტაჟისათვის;
- ბ.გ.ი) დამხმარე მოწყობილობა და აქსესუარები (საათი, ქრონომეტრი, კომპასი, ობიექტივი, ფოტომეტრი, სამფეხა, ბატარეის დამმუხტველი მოწყობილობა, კასეტა, ელექტროაგრეგატი, ტრანსფორმატორი, ბატარეა და აკუმულატორი, გათბობის, ჰაერის გამათბობელი, კონდიციონერისა და ვენტილაციის აპარატურა და სხვა);
- ბ.გ.კ) ხმის ან გამოსახულების მატარებლები, ცარიელი ან ჩაწერილი (გადაცემის ტიტრები, მუსიკალური ჩანართები და სხვ.);
- ბ.გ.ლ) მიმდინარე გადასაღები მასალა (კინოფირი და ა.შ.);
- ბ.გ.მ) მუსიკალური ინსტრუმენტი, კოსტიუმები, სასცენო დეკორაცია და სხვა თეატრალური და სასცენო აქსესუარები, გრიმი, მაკიაჟის მასალა, თმის საშრობი.
- ბ.დ) სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც შექმნილი ან სპეციალურად მოწყობილია ზემოხსენებული მიზნებისათვის, როგორცაა სატრანსპორტო საშუალებები:
  - ბ.დ.ა) ტელემაუწყებლობისათვის საჭირო აპარატურით;
  - ბ.დ.ბ) სატელევიზიო დამხმარე მოწყობილობით და აქსესუარებით;
  - ბ.დ.გ) ვიდეოსიგნალის ჩამწერი აპარატურით;
  - ბ.დ.დ) ხმის ჩამწერი აპარატურით;
  - ბ.დ.ე) შენელებული აღწარმოების აპარატურით;
  - ბ.დ.ვ) გამნათებელი აპარატურით;
- ბ.ე) კინემატოგრაფიისათვის განკუთვნილი მოწყობილობა:
  - ბ.ე.ა) ყველა ტიპის კამერა (კონოკამერა და ვიდეოკამერა);
  - ბ.ე.ბ) საკონტროლო-გამზომი ხელსაწყოები და აპარატურა (ოსცილოგრაფი, მაგნიტოფონის და ვიდეომაგნიტოფონის ტესტირების სისტემა, მულტიმეტრი, ხელსაწყოების ყუთები და ჩანთები, ვექტოროსკოპი, ვიდეოსიგნალები, გენერატორი და სხვ.);
  - ბ.ე.გ) ამწე-ურიკა ოპერატორისათვის, მიკროფონის შტატივი;
  - ბ.ე.დ) გამნათებელი მოწყობილობა (პროექტორი, ტრანსფორმატორი, სამფეხა);
  - ბ.ე.ე) აპარატურა ვიდეომონტაჟისათვის;
  - ბ.ე.ვ) ხმის ან გამოსახულების ჩამწერი ან აღმწარმოებელი აპარატურა (მაგნიტოფონი, ვიდეო-მაგნიტოფონი, ფლეერი, მიკროფონი, მიქშერული პულტი, აკუსტიკური სისტემები);
  - ბ.ე.ზ) ხმის ან გამოსახულების მატარებლები, ცარიელი ან ჩაწერილი;
  - ბ.ე.თ) მიმდინარე გადასაღები მასალა;
  - ბ.ე.ი) დამხმარე მოწყობილობა და აქსესუარები (საათი, ქრონომეტრი, კომპასი,

მიკროფონები, მიქშერული პულტი, ხმის ჩამწერი მაგნიტური ლენტი, ელექტროაგრეგატი, ტრანსფორმატორი, ბატარეა და აკუმულატორი, ბატარეის დამმუხტველი, გათბობის, ჰაერის კონდიციონერისა და ვენტილაციის აპარატურა და სხვ.);

ბ.ე.კ) მუსიკალური ინსტრუმენტები, კოსტიუმები, სასცენო დეკორაციები და სხვა თეატრალური და სასცენო აქსესუარები, გრიმი, მაკიაჟის მასალა, თმის საშრობები;

ბ.ვ) სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც შექმნილი ან სპეციალურად მოწყობილია ზემოთ ხსენებული მიზნებისათვის;

ბ.ზ) სხვა მოწყობილობა:

ბ.ზ.ა) მოწყობილობა მანქანის, დანადგარის, სატრანსპორტო მოწყობილობის მონტაჟის, გამოცდის, გაშვების, კონტროლის, შემოწმების, ტექნიკური მომსახურების ან შეკეთებისათვის;

ბ.ზ.ა.ა) სამუშაო იარაღები;

ბ.ზ.ა.ბ) გაზომვის, შემოწმების ან ტესტირებისთვის საჭირო ხელსაწყოები და ინსტრუმენტები (ტემპერატურა, წნევა, მანძილი, სიმაღლე, ზედაპირის ფართობი, სიჩქარე და სხვ.) მათ შორის, ელექტრონული მოწყობილობა (ვოლტმეტრები, ამპერმეტრები, საზომი სადენი, კომპარატორი, ტრანსფორმატორი, სარეგისტრაციო მოწყობილობა და სხვ.) და მომჭერი მოწყობილობა;

ბ.ზ.ა.გ) მანქანა დანადგარების და მოწყობილობის მონტაჟისას ან მის შემდეგ ფოტოსურათების გადაღებისათვის საჭირო აპარატურა და ხელსაწყოები;

ბ.ზ.ა.დ) აპარატურა გემების ტექნიკური კონტროლისთვის;

ბ.ზ.ბ) ბიზნეს სფეროს წარმომადგენლებისთვის, ექსპერტებისთვის, ბუღალტრებისთვის და მსგავსი პროფესიის წარმომადგენლებისთვის საჭირო მოწყობილობა, როგორცაა:

ბ.ზ.ბ.ა) პერსონალური კომპიუტერები;

ბ.ზ.ბ.ბ) საბეჭდი მანქანები;

ბ.ზ.ბ.გ) ხმის ან გამოსახულების ჩამწერი, აღმწარმოებელი ან გადამცემი აპარატურა;

ბ.ზ.ბ.დ) საანგარიშო ხელსაწყოები და აპარატურა;

ბ.ზ.გ) მოწყობილობა, რომელიც საჭიროა ტოპოგრაფიული კვლევების ან გეოფიზიკური დაკვირვების განმახორციელებელი ექსპერტებისთვის, როგორცაა:

ბ.ზ.გ.ა) საკონტროლო-გამზომი ხელსაწყოები და აპარატურა;

ბ.ზ.გ.ბ) საბურღი მოწყობილობა;

ბ.ზ.გ.გ) გადამცემი და კავშირგაბმულობის მოწყობილობა;

ბ.ზ.დ) მოწყობილობა, რომელიც საჭიროა გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ მებრძოლი ექსპერტებისათვის;

ბ.ზ.ე) ხელსაწყოები და აპარატები, რომლებიც აუცილებელია ექიმის, ქირურგის, ვეტერინარის, სანიტრისა და მსგავსი პროფესიის ადამიანებისათვის;

ბ.ზ.ვ) მოწყობილობა, რომელიც აუცილებელია არქეოლოგიის, პალეონტოლოგიის, გეოგრაფიის, ზოოლოგიისა და სხვა სპეციალისტებისათვის;

ბ.ზ.ზ) მოწყობილობა, რომელიც აუცილებელია მსახიობისათვის, თეატრალური დასისა და ორკესტრისათვის; საგნები, რომლებიც გამოიყენება წარმოდგენის მსვლელობის დროს, მუსიკალური ინსტრუმენტები, დეკორაციები, კოსტიუმები და ა.შ.;

ბ.ზ.თ) მოხსენების პროცესში მომხსენებლისათვის საჭირო ხელსაწყოები;

ბ.ზ.ი) მოწყობილობა, რომელიც აუცილებელია მოგზაურობის დროს ფოტოსურათების გადასაღებად (ნებისმიერი სახის ფოტოაპარატი, კასეტა, ექსპონომეტრი, ობიექტივი, სამფეხა, აკუმულატორი, ამირავი ღვედი, ბატარეის დასატენი მოწყობილობა, მონიტორი, გამნათებელი, მოდური ტანსაცმელი და მანეკენის ტუალეტის საგნები და ა.შ.);

ბ.ზ.კ) სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც შექმნილი ან სპეციალურად მოწყობილია ზემოთ ჩამოთვლილი მიზნებისათვის: მობილური საკონტროლო მოწყობილობა, მობილური სახელოსნოები და მობილური ლაბორატორიები;

ბ.ზ.ლ) გასართობი ატრაქციონები, იმ პირობით, რომ მათ გამოყენებასა და ტექნიკურ მომსახურებას სპეციალური ცოდნა ან უნარები და ტექნოლოგიები სჭირდება;

### **შენიშვნა:**

1. ამ ქვეპუნქტის მიზნებისათვის ტერმინს „პროფესიული მოწყობილობები“ აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) მოწყობილობა პრესისთვის, რადიო ან სატელევიზიო მაუწყებლობისათვის, რომელიც საჭიროა სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე მყოფი პრესის, რადიო ან სატელევიზიო ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის, რეპორტაჟის მომზადების ან სპეციალური პროგრამების ჩაწერის მიზნით. აღნიშნული მოწყობილობის ჩამონათვალი მოცემულია „ბ.ა“ – „ბ.დ“ ქვეპუნქტებში;

ბ) კინომატოგრაფიის მოწყობილობა, რომელიც საჭიროა სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე ფილმის ან ფილმების შექმნისათვის. აღნიშნული მოწყობილობის ჩამონათვალი მოცემულია „ბ.ე“ და „ბ.ვ“ ქვეპუნქტებში;

გ) ნებისმიერ სხვა მოწყობილობა, რომელიც საჭიროა სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე პირის პროფესიული საქმიანობისას განსაზღვრული სამუშაოს შესრულების დროს. აღნიშნული არ მოიცავს მოწყობილობას, რომელიც გამოიყენება საქონლის წარმოების, შეფუთვის ან ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის დროს, შენობების აშენების, რემონტის ან მოვლის დროს, აგრეთვე მიწაზე მუშაობისას ან მსგავსი სამუშაოების განხორციელებისას გამოსაყენებელ მოწყობილობას. ასეთი მოწყობილობის ჩამონათვალი მოცემულია „ბ.ზ“ ქვეპუნქტში;

დ) ამ პუნქტის „ა“ – „ბ.ზ.ლ“ ქვეპუნქტებში მოცემული მოწყობილობის დამხმარე აპარატურა და აქსესუარები.

### **გ) კომერციულ ოპერაციებთან დაკავშირებით შემოტანილი:**

გ.ა) შესაფუთი მასალა, რომელიც შემოტანილი იყო საქონლით, შემდგომში საქონლით ან მის გარეშე გატანის მიზნით, ან შესაფუთი მასალა, რომელიც შემოტანილი იყო საქონლის გარეშე, შემდგომში საქონლით გატანის მიზნით;

გ.ბ) კონტეინერები ცარიელი ან საქონლით დატვირთული, და დროებით შემოტანილი კონტეინერების აქსესუარები და ხელსაწყოები, რომლებიც შემოტანილი იყო კონტეინერთან ერთად და შემდეგ გატანილი იყო ცალკე ან სხვა კონტეინერით, ან რომლებიც შემოტანილი იყო ცალკე, და გატანილი იყო კონტეინერთან ერთად;

გ.გ) სათადარიგო ნაწილები, რომლებიც გამიზნულია „გ.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად დროებით შემოტანილი კონტეინერების შესაკეთებლად;

გ.დ) პალეტები;

გ.ე) ნიმუშები;

გ.ვ) სარეკლამო ფილმები;

გ.ზ) ნებისმიერი სხვა საქონელი, რომლის შემოტანა დაკავშირებულია ერთ-ერთ შემდეგ კომერციულ ოპერაციასთან, მაგრამ რომელთა შემოტანა თავისთავად არ წარმოადგენს კომერციულ ოპერაციას:

გ.ზ.ა) საქონელი, რომელიც შემოტანილია გამოცდის, შემოწმების, ექსპერიმენტის და ჩვენების ჩატარების მიზნით;

გ.ზ.ბ) საქონელი, რომელიც გამოიყენება გამოცდის, შემოწმების, ექსპერიმენტის და ჩვენების ჩატარების პროცესში;

გ.ზ.გ) გადაღებული და გამჟღავნებული კინემატოგრაფიული ფირები, აგრეთვე პოზიტიური და გამოსახულების მატარებელი ფირები, რომლებიც განკუთვნილია მათ კომერციულ გამოყენებამდე საჩვენებლად;

გ.ზ.დ) ფირი, მაგნიტური ლენტი, მაგნიტური ფირი და ხმის ან გამოსახულების მატარებელი სხვა ფირი ან ლენტი, რომლებიც განკუთვნილია გახმოვანებისათვის, დუბლირებისა და ხმის ან გამოსახულების აღწარმოებისათვის;

გ.ზ.ე) ჩაწერილი ინფორმაციის მატარებლები, რომლებიც უფასოდაა გაგზავნილი და განკუთვნილია მონაცემთა ავტომატური გადამუშავებისათვის;

გ.ზ.ვ) ნაწარმი (სატრანსპორტო საშუალებების ჩათვლით), რომელიც თავისი მახასიათებლებით შეიძლება გამოყენებული იქნეს გარკვეული სახის ნაწარმის რეკლამირებისათვის ან გარკვეული მიზნით პროპაგანდისათვის;

### **შენიშვნა:**

1. ამ ქვეპუნქტში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) „კომერციულ ოპერაციებთან დაკავშირებით შემოტანილი საქონელი“ – კონტეინერები, პალეტები, შესაფუთი მასალა, ნიმუშები, სარეკლამო ფილმები და ნებისმიერ სხვა საქონელი, რომლის შემოტანა დაკავშირებულია კომერციულ ოპერაციებთან, მაგრამ რომელთა შემოტანა თავისთავად არ წარმოადგენს კომერციულ ოპერაციას;

ბ) „შესაფუთი მასალა“ – ნებისმიერი ნაკეთობა და მასალა, რომელიც, იმ სახით, რა სახითაც შემოტანილია, გამოყენებულია ან უნდა იქნეს გამოყენებული საქონელის შეფუთვის, დაცვის, დამაგრების ან განცალკევების მიზნით, გარდა მასალებისა, როგორცაა ჩალანამჟა, ქაღალდი, შუშა-ბამბა, ბურბუშელა და სხვ., რომლებიც შემოტანილია საყარი სახით. აგრეთვე გამოირიცხება ამ პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებში მითითებული კონტეინერები და პალეტები;

გ) „კონტეინერი“ –

გ.ა) სატრანსპორტო მოწყობილობა (მოძრავი ვაგონი, მოძრავი ცისტერნა ან სხვა მსგავსი მოწყობილობა), რომელიც:

გ.ა.ა) დახურულია მთლიანად ან ნაწილობრივ და წარმოადგენდეს ნაკვეთურს

საქონლის განთავსებისთვის;

გ.ა.ბ) მუდმივი ხასიათისაა და საკმარისად მტკიცეა მრავალჯერადი გამოყენებისათვის;

გ.ა.გ) შექმნილია სპეციალურად, რათა ხელი შეუწყოს საქონლის გადაზიდვას ტრანსპორტის ერთი ან მეტი სახეობით, საქონლის შუალედური გადატვირთვის გარეშე;

გ.ა.დ) კონსტრუირებულია ამ ფორმით, რომ გაადვილდეს საქონლის გადატანა ერთი სახეობის ტრანსპორტიდან მეორეზე;

გ.ა.ე) კონსტრუირებულია იმ ფორმით, რომ გაადვილდეს მისი დატვირთვისა და დაცლის ოპერაციები; და

გ.ა.ვ) არის ერთი კუბური მეტრის ან მეტი შიდა მოცულობის;

გ.ბ) კონტეინერის აქსესუარები და ხელსაწყოები, რომლებიც საჭიროა მოცემული ტიპის კონტეინერისათვის, თუკი ასეთი აქსესუარები და ხელსაწყოები გადაიზიდება კონტეინერთან ერთად. ტერმინი „კონტეინერი“ არ მოცავს სატრანსპორტო საშუალებებს, სატრანსპორტო საშუალებების აქსესუარებს ან სათანადო ნაწილებს, საფუთავებს ან პალეტებს. „მოსახსნელი ძარა“ ასევე ჩაითვლება კონტეინერებად;

დ) „პალეტი“ – მოწყობილობა, რომელზეც შესაძლებელია განთავსდეს საქონლის გარკვეული რაოდენობა, რათა გადაზიდვის პროცესში, შესაძლებელი იყოს მექანიკური ხელსაწყოების დახმარებით საქონლის მოხერხებული ჩატვირთვა/გადმოტვირთვა ან დაფასოება. აღნიშნული მოწყობილობა შედგება ორი ქვეშისგან, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია საყრდენების მეშვეობით, ან ერთი ქვეშისაგან, რომელიც ეყრდნობა ფეხებს; შეძლებისდაგვარად მცირე სიმაღლის, რათა შესაძლებელი იყოს მისი დატვირთვა/გადმოტვირთვა ამწე-მტვირთავი და პალეტების გადამზიდი მანქანის საშუალებით, ზედნაშენით ან მის გარეშე;

ე) „ნიმუში“ – გარკვეული კატეგორიის მზა საქონელი, ან საწარმოებლად გათვალისწინებული საქონლის ნიმუში. აღნიშნული არ მოიცავს იდენტურ საქონელს, რომლებიც შემოტანილია იმავე პირის მიერ, ან გაგზავნილია იმავე ტვირთმიმღებისათვის იმ ოდენობით, რომ მთლიანობაში საყოველთაოდ აღიარებული სავაჭრო ურთიერთობებიდან გამომდინარე ვეღარ იქნება განხილული როგორც ნიმუში.

ვ) „სარეკლამო ფილმი“ – გამოსახულების გადაღებული მატარებელი, ხმით ან მის გარეშე, რომელიც წარმოგვიდგენს იმ ნაწარმის ან მოწყობილობის თვისებებს და ფუნქციონირებას, რომლებიც მიწოდებულია გასაყიდად ან გასაქირავებლად უცხოური საწარმოს ან არარეზიდენტი პირის მიერ, იმ პირობით, რომ აღნიშნული ფილმი განკუთვნილია მომავალი მყიდველებისთვის საჩვენებლად და არა სხვა მიზნებისთვის და შემოტანილია ერთ ასლად და არ წარმოადგენს ფილმების დიდი პარტიის ნაწილს.

**დ) საწარმოო ოპერაციასთან დაკავშირებით შემოტანილი საქონელი:**

დ.ა) მატრიცები, სტერეოტიპები, ყალიბები, ნახაზები, გეგმები, მოდელები და სხვა მსგავსი საგნები;

დ.ბ) გაზომვის, ტესტირების და შემოწმების ხელსაწყოები და სხვა მსგავსი საგნები;

დ.გ) სპეციალური იარაღები და ხელსაწყოები, რომლებიც შემოტანილია საწარმოო

პროცესის განმავლობაში გამოყენების მიზნით;

დ.დ) „წარმოების ჩანაცვლებადი საშუალებები“ – ინსტრუმენტები, აპარატურა და მანქანა-დანადგარები, რომლებიც მომხმარებელს მიეწოდება შემკეთებლის ან მომწოდებლის მიერ და გამიზნულია მსგავსი საქონლის შესაცვლელად ან შესაკეთებლად;

**ე) საგანმანათლებლო, სამეცნიერო ან კულტურული მიზნებისთვის შემოტანილი საქონელი:**

ე.ა) სამეცნიერო მოწყობილობა და პედაგოგიური მასალა – ნებისმიერი ტიპის მოდელები, ხელსაწყოები, აპარატურა, მანქანა-დანადგარები ან აქსესუარები, რომლებიც გამოიყენება სამეცნიერო კვლევის, საგანმანათლებლო ან პროფესიული სწავლების მიზნებისათვის, მათ შორის, ისეთი პედაგოგიური მასალა, როგორცაა:

ე.ა.ა) ხმის ან გამოსახულების ჩამწერი და აღმწარმოებელი აპარატები: პროექტორები გამოსახულებების და სლაიდების ჩვენებისთვის, კინოპროექტორები, უკუპროექტორები და ეპისკოპები, მაგნიტოფონები, ვიდეომაგნიტოფონები და ვიდეოაპარატურა, საკაბელო ტელევიზიის ხელსაწყოები;

ე.ა.ბ) ხმის და გამოსახულების მატარებლები: დიაპოზიტივი, დიაფილმი და მიკროფილმი, კინომატოგრაფიული ფილმები, ხმოვანი ჩანაწერი (მაგნიტური ფირები, დისკები), ვიდეოფირი;

ე.ა.გ) სპეციალური მოწყობილობები: ბიბლიოგრაფიული მოწყობილობა და აუდიო-ვიზუალური მასალები ბიბლიოთეკებისთვის, მობილური ბიბლიოთეკა, ენის შემსწავლელი ლაბორატორიები, აღჭურვილობა სინქრონული თარგმანისთვის, მექანიკური ან ელექტრონული პროგრამირებული სასწავლო მანქანა, უნარშეზღუდულ პირთა საგანმანათლებლო ან პროფესიული ტრენინგებისთვის სპეციალურად შექმნილი მოწყობილობები;

ე.ა.დ) სხვა მოწყობილობები: კედლის დიაგრამა, მაკეტი, გრაფიკა, რუკა, გეგმა, ფოტოები და ნახაზები, ინსტრუმენტები, აპარატურა და მოდელები, რომლებიც შექმნილია ჩვენებისთვის, ვიზუალური არ ხმოვანი პედაგოგიური ინფორმაცია, რომელიც გამიზნულია განსაზღვრული საგნის შესასწავლად(სასწავლო კრებული), ინსტრუმენტები, აპარატურა, იარაღები და მანქანა-დანადგარები, რომლებიც გამიზნულია ხელობის შესასწავლად, მოწყობილობა სამაშველო ოპერაციებისთვის, მათ შორის აღნიშნული მიზნებისთვის სპეციალურად მოწყობილი ან შექმნილი სატრანსპორტო საშუალებები, რომლების შემოტანის მიზანია ტრენინგების მოწყობა მაშველ ოპერაციებში მონაწილე პირებისთვის;

ე.ბ) სამეცნიერო და პედაგოგიური მოწყობილობის სათადარიგო ნაწილები, აგრეთვე საშუალებები, რომლებიც სპეციალურად განკუთვნილია ასეთი მოწყობილობის სარემონტო მომსახურების, შემოწმების, დაკალიბრების ან შეცვლისათვის;

ე.გ) მასალები მეზღვაურთა კეთილმოწყობისათვის – კულტურულ, საგანმანათლებლო, გამაჯანსაღებელ, რელიგიურ და სპორტულ აქტიურობასთან დაკავშირებულ მასალებს, რომლებიც განკუთვნილია იმ პირებისათვის, რომლებიც თავიანთ სამსახურებრივ მოვალეობებს ასრულებენ საერთაშორისო საზღვაო გადაზიდვის მონაწილე უცხოურ გემებზე;



ე.გ.ა) წიგნები და ბეჭდვითი პროდუქცია: ყველა ჟანრის წიგნი, დაუსწრებელი სწავლების სახელმძღვანელო, გაზეთები, ჟურნალები და პერიოდული გამოცემები, ბროშურა, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ნავსადგურში მეზღვაურების კეთილდღეობის ღონისძიებების შესახებ;

ე.გ.ბ) აუდიო-ვიზუალური მოწყობილობები/მასალები: ხმის და გამოსახულების აღმწარმოებელი აპარატები, მაგნიტოფონი, რადიომიმღები და ტელევიზორი, პროექტორები, ჩანაწერი დისკზე ან მაგნიტურ ლენტზე(ენის კურსები, რადიოგადაცემები, მუსიკალური და გასართობი ხასიათის ჩანაწერები), გადაღებული და გამჟღავნებული ფოტო და კინოლენტები, სლაიდები, ვიდეოფირები;

ე.გ.გ) სპორტული ნაწარმი: სპორტული ტანსაცმელი, ბურთები, ჩოგანი და ბადე; საგემბანო თამაშები, ინვენტარი მძლეოსნობისთვის, მოწყობილობა ტანვარჯიშისათვის;

ე.გ.დ) გართობის და დასვენების გამიზნული მოწყობილობები: ოთახის თამაშები, მუსიკალური ინსტრუმენტები, მასალები სამოყვარულო სასცენო ხელოვნებისთვის, მოწყობილობა ხატვისთვის, ქანდაკებისთვის, ხეზე მუშაობისთვის, ლითონზე მუშაობისთვის, ხალიჩების ქსოვისთვის და სხვ.;

ე.გ.ე) რელიგიური რიტუალების ჩასატარებლად საჭირო ნივთები;

ე.გ.ვ) დასვენებისათვის საჭირო მოწყობილობის ნაწილები და აქსესუარები;

ე.დ) თეატრალური საზოგადოებისთვის და თეატრებისთვის წარმოდგენის ჩასატარებლად დროებით, უსასყიდლოდ გამოგზავნილი კოსტიუმები და სასცენო აქსესუარები. საკონცერტო დარბაზებისთვის და ორკესტრებისთვის წარმოდგენის ჩასატარებლად უსასყიდლოდ გამოგზავნილი პარტიტურა/ნოტები;

ე.ე) საორგანიზაციო და სადემონსტრაციო მასალა და მოწყობილობები (მაგ.: კომპიუტერული ტექნიკა, დაფები და სხვა ანალოგიური საქონელი);

ე.ვ) მუსიკალური ინსტრუმენტები, საკონცერტო და სასცენო დეკორაციები, განათებისა და სხვა მოწყობილობები.

### **ვ) მგზავრის პირადი მოხმარებისათვის და სპორტული მიზნებისათვის შემოტანილი საქონელი:**

ვ.ა) მგზავრის პირადი ნივთები – ყველა ახალი ან ნახმარი ნივთი, რომლებიც შესაძლებელია მგზავრს დასჭირდეს მგზავრობის განმავლობაში პირადი გამოყენებისათვის, ზომიერი ოდენობით, მგზავრობის გარემოებების გათვალისწინებით, კომერციული მიზნებისათვის შემოტანილი საქონლის გამორიცხვით. კერძოდ:

ვ.ა.ა) ტანსაცმელი;

ვ.ა.ბ) პირადი ჰიგიენის საშუალებები;

ვ.ა.გ) პირადი სამკაულები;

ვ.ა.დ) ფოტო და კინო კამერები, მათი ფირების, დისკების და აქსესუარების ზომიერი რაოდენობით;

ვ.ა.ე) სლაიდებისა და ფილმების პორტატული პროექტორები, აქსესუარებით, სლაიდების ან ფირების ზომიერი რაოდენობით;

ვ.ა.ვ) ვიდეოკამერები და პორტატული ვიდეომაგნიტოფონები, ფირების ზომიერი რაოდენობით;

ვ.ა.ზ) პორტატული მუსიკალური ინსტრუმენტები;

ვ.ა.თ) პორტატული გრამოფონები და ჩანაწერები;

ვ.ა.ი) პორტატული ხმისჩამწერები და აღმწარმოებლები(მათ შორის, დიკტოფონები), ფირებით;

ვ.ა.კ) პორტატული რადიომიმღები;

ვ.ა.ლ) პორტატული ტელევიზორი;

ვ.ა.მ) პორტატული საბეჭდი მანქანა;

ვ.ა.ნ) პორტატული კალკულატორი;

ვ.ა.ო) პორტატული პერსონალური კომპიუტერი;

ვ.ა.პ) ბინოკლი;

ვ.ა.ჟ) საბავშვო ეტლი;

ვ.ა.რ) უნარშეზღუდული პირის სავარძელი;

ვ.ა.ს) სპორტული აღჭურვილობა, როგორცაა: კარვები და სხვა აღჭურვილობა კემპინგისათვის, აღჭურვილობა მყვინთავეებისთვის, სპორტული ცეცხლსასროლი იარაღი სასროლო მასალით, არამოტორიზებული ველოსიპედები, კანოე ან კაიაკი 5.5 მეტრზე ნაკლები სიგრძის, თხილამურები, ჩოგბურთის ჩოგნები, სერფინგის დაფები, ვინდსერფინგი, დელტაპლანები და დელტა ფრთები, გოლფის სათამაშო აღჭურვილობა;

ვ.ა.ტ) დიალიზის და მსგავსი სამედიცინო პორტატული აპარატურა და მათთან გამოსაყენებელი ერთჯერადი საგნები;

ვ.ა.უ) პირადი მოხმარების სხვა ნივთები;

ვ.ბ) სპორტული მიზნებისათვის შემოტანილი საქონელი – სპორტულ აქსესუარები და სხვა საგნები, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე მგზავრის მიერ სპორტული აქტივობის, ჩვენების ან ვარჯიშის დროს გამოყენებისთვის;

ვ.ბ.ა) ინვენტარი მძლეოსნობისთვის: ბარიერები; სატყორცნი შუბი, დისკო, ჭოკი, ბირთვი, ურო;

ვ.ბ.ბ) სპორტული ინვენტარი ბურთით თამაშისთვის: ნებისმიერი სახის ბურთი; - ჩოგანი, სპორტული ჩაქუჩი, ჰოკიჯოხი და მსგავსი საგნები; ნებისმიერი სახის ბადე; კარის კონსტრუქცია;

ვ.ბ.გ) ზამთრის სპორტული აღჭურვილობა: თხილამურები და ჯოხები; ციგურები; ბობსლეი მარხილი; კერლინგის აღჭურვილობა;

ვ.ბ.დ) სპორტული ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ხელთათმანები, თავსაფარი და მსგავსი სახეობის სხვა ნებისმიერი აღჭურვილობა;

ვ.ბ.ე) აღჭურვილობა წყლის სპორტის სახეობებისათვის: კანოე და კაიაკი; აფრიანი და ნიჩბიანი ნავეები, აფრები, ნიჩბები და ხოფები; სერფინგის დაფები და აფრები;

ვ.ბ.ვ) ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები და ნავეები (ავტომანქანები; მოტოციკლები; ძრავიანი ნავეები);

ვ.ბ.ზ) აღჭურვილობა სპორტის სხვადასხვა სახეობისათვის: სპორტული იარაღი და

სასროლი მასალა; არამოტორიზებული ველოსოპედები; მშვილდი და ისრები; აღჭურვილობა ფარიკაობისათვის; აღჭურვილობა ტანვარჯიშისათვის; კომპასები; საჭიდაო ხალიჩა და ტატამი; აღჭურვილობა სიმძიმეების აწევისათვის; აღჭურვილობა ცხენოსნობისათვის, ორთვალა ეტლები; დელტაპლანები, დელტა ფრთები, ქარის სერფინგი; აღჭურვილობა მთასვლელებისათვის; მუსიკალური კასეტები წარმოდგენის აკომპანიებისათვის;

ვ.ბ.თ) დამხმარე აღჭურვილობა: აღჭურვილობა გაზომვისა და ანგარიშის ჩვენებისათვის; სისხლის და შარდის ტესტირების აპარატურა;

### **შენიშვნა:**

1. ამ ქვეპუნქტის მიზნებისათვის „მგზავრი“ არის არარეზიდენტი ფიზიკური პირი, რომელიც დროებით შემოდის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ტურიზმის, სპორტის, ბიზნესის, პროფესიული შეხვედრების, ჯანმრთელობის, სწავლების და სხვა მიზნებისათვის.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქონელი შემოტანილ უნდა იქნეს პირადად მგზავრის მიერ ან ბარგის სახით (მიუხედავად იმისა, ბარგი თან ახლავს თუ არა მგზავრს);

**ზ) ტურისტული სარეკლამო მასალა** – საქონელი, რომელიც შემოტანილია საზოგადოებაში ტურიზმის სტიმულირების მიზნით, რაც გულისხმობს აღნიშნული საზოგადოების მიერ უცხო ქვეყნის მონახულებას, კერძოდ, იქ ორგანიზებულ კულტურულ, რელიგიურ, ტურისტულ, სპორტულ, ან პროფესიულ შეხვედრებზე ან დემონსტრაციებზე დასწრებას;

ზ.ა) ოფიციალური ეროვნული ტურისტული სააგენტოს მიერ დამტკიცებული აკრედიტებული წარმომადგენლების ან კორესპოდენტების ოფისებში ან სხვა ნებადართულ ადგილებში გამოსაფენად გამიზნული მასალები: სურათები და ნახაზები, ჩარჩოში ჩასმული და გადიდებული ფოტოები, წიგნები, ნახატები, გრაფიურები ან ლითოგრაფები, სკულპტურები, გობელენები და ხელოვნების სხვა მსგავსი ნიმუშები;

ზ.ბ) მოწყობილობა გამოფენისათვის (ვიტრინები, სადგამები და მსგავსი საგნები), მათ შორის, ელექტრონული და მექანიკური მოწყობილობა, რომელიც საჭიროა აღნიშნული გამოფენის ფუნქციონირებისათვის;

ზ.გ) დოკუმენტური ფილმები, ჩანაწერები, ჩანაწერები ფირზე და სხვა ბგერითი ჩანაწერები, რომლებიც გამიზნულია უფასო წარმოდგენებზე გამოყენებისათვის. გარდა იმ სარეკლამო მასალისა, რომელთა მიზანია კომერციული რეკლამა ან რომლებიც წარმოადგენენ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ვაჭრობის საგანს;

ზ.დ) დროშები (ზომიერი რაოდენობით);

ზ.ე) მაკეტები, მოდელები, სლაიდები, საბეჭდი მოწყობილობა, ფოტოგრაფიული ნეგატივები;

ზ.ვ) ხალხური რეწვის ნიმუშები, ეროვნული ტანსაცმელი და ფოლკლორის სხვა ნიმუშები (ზომიერი რაოდენობით);

### **შენიშვნა:**

ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქონელი უნდა იყოს უცხოური საწარმოს ან არარეზიდენტი ფიზიკური პირის საკუთრებაში და შემოტანილი უნდა იყოს ზომიერი რაოდენობით, შემოტანის მიზნების გათვალისწინებით.

**თ) საქონელი დიპლომატიური და ტურისტული მიზნებისათვის** (გარდა ამ მუხლის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულისა), თუ საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის დროს რჩება უცხოური საწარმოს/ორგანიზაციის ან არარეზიდენტი ფიზიკური პირის საკუთრებაში;

**ი) ჰუმანიტარული მიზნით შემოტანილი საქონელი** – სამედიცინო, ქირურგიულ და ლაბორატორიულ მოწყობილობა და სამამველო ტვირთი (ბუნებრივი სტიქიის ან მსგავსი კატასტროფების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის დახმარების სახით გაგზავნილი საქონელი, როგორცაა ავტომობილები და სხვა სატრანსპორტო საშუალებები, საბნები, კარვები, ასაწყობი სახლები და პირველადი მოხმარების სხვა საგნები);

**შენიშვნა:**

ამ ქვეპუნქტის შესაბამისად საქონლის შემოტანისათვის:

ა) ჰუმანიტარული მიზნით შემოტანილი საქონელი უნდა იყოს უცხოური საწარმოს ან არარეზიდენტი ფიზიკური პირის საკუთრებაში და უნდა იყოს გადაცემული უსასყიდლოდ;

ბ) სამედიცინო, ქირურგიული და ლაბორატორიული მოწყობილობა გამოყენებულ უნდა იქნეს განსაკუთრებულ გარემოებებში აღმოჩენილი საავადმყოფოებისა და სხვა სამედიცინო დაწესებულებების მიერ, რომლებისთვისაც აღნიშნული მოწყობილობა გადაუდებელ საჭიროებას წარმოადგენს, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე მისი უკმარისობის გამო;

გ) სამამველო ტვირთი უნდა გაეგზავნოს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირებს.

**კ) სატრანსპორტო საშუალება** – გემი (მათ შორის, ბორანი, ბარჟა და წყალქვეშა ფრთიანი ხომალდი), საჰაერო საფრენი საშუალება, საჰაერო ხომალდი, სახმელეთო ტრანსპორტი (მათ შორის, ძრავიან ველოსიპედი, ტრაილერი, ნახევრადტრაილერი და ტრანსპორტის სხვადასხვა კომბინაცია) და სარკინიგზო მოძრავი შემადგენლობა; ეს ტერმინი ასევე მოიცავს აღნიშნული სატრანსპორტო საშუალების სათადარიგო ნაწილებს, აქსესუარებს და ხელსაწყოებს, რომლებიც იმყოფება ტრანსპორტზე (მათ შორის, ტვირთის დატვირთვისათან, ჩამოტვირთვისათან, დამუშავებასთან და დაცვასთან დაკავშირებულ სპეციალურ მოწყობილობებს);

**შენიშვნა:**

1. ამ ქვეპუნქტში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) „კომერციული გამოყენება“ – მგზავრების გადაყვანა ანაზღაურების მიღების მიზნით ან საქონლის ტრანსპორტირება კომერციული მიზნებისთვის ანაზღაურებით ან ანაზღაურების გარეშე;

ბ) „პირადი გამოყენება“ – პირის მიერ სატრანსპორტო საშუალების გამოყენება პირადი მოხმარებისათვის, რაც გამორიცხავს მის კომერციულ გამოყენებას;

2. ამ ქვეპუნქტის შესაბამისად შესაძლებელია ასევე შემოტანილ იქნეს დროებით

შემოტანილი სატრანსპორტო საშუალების შესაკეთებელი სათადარიგო ნაწილები და მოწყობილობა.

3. ამ ქვეპუნქტის შესაბამისად სატრანსპორტო საშუალების დროებით შემოტანისათვის:

ა) კომერციული მიზნით შემოყვანილი სატრანსპორტო საშუალება რეგისტრირებული უნდა იყოს საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ, უცხო ქვეყნის საწარმოს ან არარეზიდენტი ფიზიკური პირის სახელზე და უნდა იყოს შემოტანილი და გამოიყენებოდეს იმ პირის მიერ, რომელიც საქმიანობს საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ;

ბ) პირადი გამოყენებისათვის შემოყვანილი სატრანსპორტო საშუალება რეგისტრირებული უნდა იყოს საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ, უცხო ქვეყნის საწარმოს ან არარეზიდენტი ფიზიკური პირის სახელზე და უნდა იყოს შემოტანილი და გამოიყენებოდეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ დაფუძნებული ან არარეზიდენტი პირის მიერ.

4. ამ ქვეპუნქტის შესაბამისად ასევე შესაძლებელია შემოყვანილ იქნეს სეს ესნ-ის 8703 სასაქონლო პოზიციაში შემავალი მსუბუქი ავტომობილი ან/და 8711 სასაქონლო პოზიციაში შემავალი მოტოციკლი (მოპედის ჩათვლით), რომელიც რეგისტრირებულია უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილია საქართველოს მოქალაქის მიერ და წარდგენილია გარანტია.

**ლ) ნებისმიერი სახის ცოცხალი ცხოველები (მათ შორის, თევზები), რომელთა შემოყვანის მიზანია:**

ლ.ა) წვრთნა, ვარჯიში, მოშენება, დაჭედვა, აწონვა, ვეტერინალური მკურნალობა, შემოწმება (მაგალითად, შეძენის მიზნით);

ლ.ბ) წარმოდგენაში, გამოფენაში, შეჯიბრებაში/კონკურსში ან ჩვენებაში მონაწილეობა;

ლ.გ) გართობა (ცირკის ცხოველები და სხვ.), მოგზაურობა (მოგზაურთა შინაური ცხოველების ჩათვლით);

ლ.დ) სპეციალური სამუშაოების შესრულება (პოლიციის ძალები ან ცხენები, მეძებარი ძალები, ძალები უსინათლოებისათვის და სხვ.);

ლ.ე) სამაშველო ოპერაციების ჩატარება;

ლ.ვ) ძოვება;

ლ.ზ) სამუშაოების შესრულება ან ტრანსპორტირება;

ლ.თ) სამედიცინო დანიშნულებით გამოყენება (გველის შხამის მიღება და სხვა);

**მ) „საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობებს შორის „ბაქო-თბილისი-ყარსის“ ახალი სარკინიგზო ხაზის პროექტის რეალიზაციის ფარგლებში მარაბდა-თურქეთის რესპუბლიკის საზღვრამდე (კარწახი) სარკინიგზო მონაკვეთის ფინანსირების, პროექტირების, მშენებლობის, რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციისა და ექსპლუატაციის პირობებისა და პრინციპების შესახებ“ შეთანხმების ფარგლებში სარკინიგზო ხაზის**

მშენებლობის/ რეაბილიტაციის/ რეკონსტრუქციის უზრუნველსაყოფად საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის დროებით შემოტანა;

ნ) „შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს“ მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 22 თებერვლის №460 განკარგულების შესაბამისად, ქ. ქუთაისში საქართველოს პარლამენტის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში მხოლოდ ამ სამშენებლო სამუშაოების შეუფერხებლად განხორციელებისათვის საქართველოს ტერიტორიაზე დროებით შემოტანილი საქონელი.

2. სრულად გათავისუფლებულ საქონელს მხოლოდ დღგ-ის მიზნებისათვის განეკუთვნება საქონელი, რომლის იმპორტი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის საფუძველზე გათავისუფლებულია დღგ-ის გადახდისაგან.